გაფართოებული კონსილიუმი

(ჩატარდა კოჯრის ბავშვთა სახლში 29.03.2018)

დავით ზურაბაშვილი - ბავშვთა ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

ანა ჭუმბურიძე - ბავშვთა ფსიქიატრი. შპს N 5 კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

დავით მახათაძე - მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს, აბდომინური დეპარტამენტის პედიატრიული მიმართულების ხელმძღვანელი, გასტროენტეროლოგი

მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ გასინჯულ იქნა კოჯრის ბავშვთა სახლის ბენეფიციარი ხუდოიანი ედუარდი, დაბადებული 19.03.2003წ.

დიაგნოზი: ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა F 73; ბავშთა ცერებრული დამბლა დაუზუსტებელი G 80.9; ანოფთალმიის სხვა სახე Q 11.1

დეტალურად გავეცანით პაციენტის ანამნეზს, სამედიცინო დოკუმენტაციას დღიდან დაბადებისა დღემდე. ვნახეთ პაციენტი. მოხდა მისი ობიექტური მდგომარეობის შეფასება. დაისვა შეკითხვები. დაზუსტდა მნიშვნელოვანი ფაქტები ანამნეზიდან და ფსიქიკური სტატუსიდან. განხილულ იქნა ჩატარებული კვლევების შედეგები და სპეციალისტების (გასტრო-ენტერელოგი, პედიატრი და სხვ.) ჩანაწერები. გაიმართა დისკუსია. გამოითქვა მოსაზრებები. კონსილიუმის წევრების მიერ კოჯრის ბავშვთა სახლის მიერ ნაწარმოები ღონისძიებები შეფასდა თანმიმდევრულად და ეფექტურად.

პაციენტს ა/წ მარტში ორჯერ ჩაუტარდა სტაციონარული მკურნალობა იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში, გულისრევა - ღებინების დიაგნოზით (ICD კოდი R11).

ჩატარებული კვლევებით ორგანული გასტროენტეროლოგიური პათოლოგია არ ვლინდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში წონაში დაიკლო 7 კგ. ამჟამად იწონის 11 კგ-ს. პაციენტი პრაქტიკულად ვერ იღებს საკვებს, გამუდმებული რუმინაციის გამო. ესაჭიროება სისტემატური ნუტრიციული მხარდაჭერა პარენტერალური კვების სახით, სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნების მიზნით, პარაკლინიკური პარამეტრების კონტროლით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს პალიატიური პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში.

დასკვნა: პაციენტი ამჟამად არ საჭიროებს ფსიქიატრის აქტიურ ყოველდღიურ კონსულტაციას, მაგრამ სირთულიდან გამომდინარე მაინც სარეკომენდაციოა. დიაგნოზის დაზუსტების მიზნით მიგვაჩნია რომ შეიძლება შეფასდეს მისი მდგომარეობა როგორც:

დიაგნოზი: F 73.1 ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა, მნიშვნელოვანი ქცევითი დარღვევებით, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას და მკურნალობას.

რეკომენდაცია: მძიმე სომატური მდგომარეობის გამო საჭიროდ მიგვაჩნია პაციენტი იმყოფებოდეს სტაციონარულ პირობებში (პალიატიურ განყოფილებაში), სადაც შესაძლებელი იქნება მისი სასიცოცხლო ფუნქიების კონტროლი და პარამეტრების სათანადო კორექცია.

პატივისცემით,

დავით ზურაბაშვილი

ანა ჭუმბურიძე

დავით მახათაძე

29.03.18.